საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 923/01
05/02/2021

923-01-2-202102051055

შპს „იმგეს“

მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის II შესახვევი N2ა

ელ ფოსტა: vardo_futkaradze@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 25 იანვრის №679 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, შპს „იმგეს“ წყალში ხსნადი საღებავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე სამინისტროს მიერ 2020 წლის 31 დეკემბრის N12981/01 წერილით მოთხოვნილი დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენას.

მითითებულია, რომ განცხადებას თან ერთვის საღებავების საწარმოებლად საჭირო კომპონენტების კორექტირებული და ერთმანეთთან შესაბამისობაში მყოფი ინგლისური და ქართული სახელწოდებები, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. განცხადებას თან ერთვის საღებავების საწარმოებლად საჭირო კომპონენტების ფიზიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ინგლისურ ენაზე. ვინაიდან საქართველოში ადმინისტრაციული წარმოების ენა არის ქართული, გთხოვთ, აღნიშნული დანართი სამინისტროში წარმოადგინოთ ქართულ ენაზე.

წარმოდგენილი განცხადების თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესისთვის საჭირო ნედლეული, FILM AJANI: TEXANOL იხსნება აკრილიკის გამხსნელთან ერთად წყალში, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ რა რაოდენობით გამოიყენება აღნიშნული გამხსნელი ტექნოლოგიურ პროცესში და რა სახით შემოდის საწარმოში, მათ შორის ტრანსპორტირების და საწარმოში განთავსების საკითხები. დაზუსტებას საჭიროებს, ასევე, აღნიშნული კომპონენტის სახელწოდება, ვინაიდან თანდართულ სერტიფიკატში ეს ნივთიერება მოცემულია ეკვანოლის და არა აკრილიკის გამხსნელის სახელწოდებით.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „იმგე“ უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი

განახლებული/სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას, ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე